

შეტყობინება მეოთხე

ეპლესიების სიღრმისეული ურთიერთობა მათი ორგანული კავშირისათვის

ადგილები წერილიდან: გამოცხ. 22:1; საქმე. 2:42; 1 კორ. 10:16-18; 2 კორ. 13:14;
ფილიპ. 2:1; 1 იოანე 1:3, 7

I. ჩვენ უნდა დავინახოთ ეპლესიების სიღრმისეული ურთიერთობა და შევიდეთ მასში:

- ა. ურთიერთობა არის მარადიული სიცოცხლის დინება ქრისტეს სხეულის
ყველა ორგანული ასოს შიგნით, მათგან და მათ შორის; ამის
საილუსტრაციოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ სიცოცხლის წყლის დინება,
რომელიც გამოდის ღმერთისა და კრავის ტახტიდან ახალ იერუსალიმში –
გამოცხ. 22:1.
- ბ. ისევე როგორც სისხლი ცირკულირებს ადამიანის სხეულში, ასევე ჩვენ
ვხედავთ ცირკულაციას ქრისტეს სხეულში, რასაც ახალი აღთქმა უწოდებს
ურთიერთობას – 1 იოანე 1:3, 7.
- გ. ქრისტეს სხეულის ურთიერთობა, რომელიც არის ურთიერთობა ეპლესიებს
შორის, არის მოციქულების ურთიერთობა – საქმე. 2:42; 1 იოანე 1:3:
 1. ურთიერთობა მოდის სწავლებიდან, თუ ჩვენ ვასწავლით არასწორად და
განსხვავებულად მოციქულთა სწავლებისაგან, ღმერთის
სახლმშენებლობის სწავლებისაგან, ჩვენი სწავლება წარმოქმნის
სექტანტურ, დაყოფაში მყოფ ურთიერთობას – საქმე. 2:42; 1 ტიმ. 1:3-6;
6:3-4; 2 კორ. 3:8-9; 5:18:
 - ა) სწავლება წარმოქმნის ურთიერთობას, და ურთიერთობა გამოდის
სწავლებიდან – 1 კორ. 4:17; 1:9; 10:16.
 - ბ) უფლის აღდგენაში დღეს ჩვენ ვართ მოციქულთა სწავლებაში და
მოციქულთა ურთიერთობაში – საქმე. 2:42.
 2. იმისათვის, რომ გვჭონდეს ურთიერთობა სამერთიან ღმერთთან
მოციქულთა ურთიერთობაში საჭიროა გვედზე გადავდოთ ჩვენი პირადი
ინტერესები და შევუერთდეთ მოციქულებსა და სამერთიან ღმერთს
ღმერთის მიზნის განსახორციელებლად – ფილიპ. 4:14; 2:1; საქმე. 2:42; 1
იოანე 1:3; 1 კორ. 1:9; 3:6, 12.
- დ. ერთი ღვთაებრივი ურთიერთობა არის ერმანეტში გადახლართული
ურთიერთობა – პორიზონტალური ურთიერთობა გადახლართლია
ვერტიკალურ ურთიერთობასთან:
 1. მოციქულების თავდაპირველი განცდა იყო ვერტიკალური ურთიერთობა
მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან, მაგრამ როდესაც
მოციქულებმა აუწყეს მარადიული სიცოცხლე სხვებს, მათ განიცადეს
ღვთაებრივი ურთიერთობის პორიზონტალური ასპექტი – 1 იოანე 1:2-3;
შდრ. საქმე. 2:42.

2. ჩვენს პორიზონტალურ ურთიერთობას წმიდანებთან მივყავართ ჩვენ ვერტიკალურ ურთიერთობაში უფალთან; შემდეგ ჩვენს ვერტიკალურ ურთიერთობას უფალთან მივყავართ პორიზონტალურ ურთიერთობაში წმიდანებთან:
- ა) ჩვენ შევდივართ დვთაებრივი ურთიერთობის ვერტიკალურ ასპექტში დვთაებრივი სულით, წმიდა სულით, ურთიერთობის ეს ასპექტი მიუთითებს ჩვენს ურთიერთობაზე სამერთიან ღმერთთან ჩვენ მიერ მის სიყვარულში – 2 კორ. 13:14; 1 ოთანე 13, 6; მარკ. 12:30.
 - ბ) ჩვენ შევდივართ დვთაებრივი ურთიერთობის პორიზონტალურ ასპექტში ადამიანური სულის მეშვეობით; ურთიერთობის ეს ასპექტი მიუთითებს ჩვენს ურთიერთობაზე ერთმანეთთან ჩვენი სულის ვარჯიშის მეშვეობით ერთმანთის სიყვარულში – ფილიპ. 2:1; გამოცხ. 1:10; 1 ოთანე 12-3; 7; 1 კორ. 16:18; მარკ. 12:31; რომ. 13:8-10; გალ. 5:13-15.
3. ამ დვთაებრივ ურთიერთობაში ღმერთი გადახლართულია ჩვენთან; ეს გადახლართვა არის შერწყმა ღმერთისა და ადამიანისა, რათა მოიტანოს დვთაებრივი შემადგენლობა ჩვენს სულიერ არსებაში ჩვენი გაზრდისა და გარდასახვისათვის სიცოცხლეში – ლევ. 2:4-5.
- გ. დვთაებრივი ურთიერთობა არის ყველაფერი ქრისტიანულ ცხოვრებაში:
1. ისევე როგორც ელექტრობის ნაკადი არის თვითონ ელექტრობა, დვთაებრივი სიცოცხლის ურთიერთობა, დვთაებრივი სიცოცხლის დინება, არის თვითონ დვთაებრივი სიცოცხლე.
 2. როდესაც ურთიერთობა ქრება, ღმერთიც უზინარდება, ღმერთი მოდის როგორც ურთიერთობა – 2 კორ. 13:14; გამოცხ. 22:1.
- II. ჩვენ უნდა დავინახოთ ეკლესიების ორგანული კავშირი და შევიდეთ მასში; ეს არის ერთადერთი კავშირი ერთადერთი ეკლესიისა (სამყაროსეული ეკლესია შედგება ყველა ადგილობრივი ეკლესიისაგან); – „ეკლესია“ 1 კორინთელთა 12:28-ში მიუთითებს ეკლესიაზე მის სამყაროსეულ და ადგილობრივ ასპექტებზე:
- ა. ეს ორგანული კავშირი ხორციელდება უნიკალურად და სამყაროსეულად ყველა ადგილობრივ ეკლესიას, როგორც ქრისტეს უნიკალურ ორგანულ სხეულს შორის – 2 კორ. 13:14; 1 ოთანე 1:3, 7.
 - ბ. ყველა ადგილობრივი ეკლესია არის ერთი ეკლესია; მათი ორგანული კავშირი დაფუძნებულია დვთაებრივი სიცოცხლის ორგანულ ურთიერთობაზე; ყველა ეკლესიას შორის, რომლებიც შეადგენენ ქრისტეს ერთ სამყაროსეულ სხეულს, არ არის არავითარი ორგანიზაცია, მაგრამ არის ქრისტეს სხეულის ურთიერთობა – ფილიპ. 1:5; შდრ. საქმე. 9:31.
 - გ. ეკლესიას ერთ ადგილას არ უნდა ჰქონდეს ისეთი დამოკიდებულება, რომ მათ არა აქვთ არაფერი საერთო ეკლესიასთან სხვა ადგილას; სიდრმისეულად არასწორი წარმოდგენა და განსხვავებული სწავლება გამოყოფისა, ავტონომიური კავშირებისა ეკლესიებს შორის არსებობდა ჩვენ

შორის; ეს არასწორი და განსხვავებული სწავლება იწვევს დაყოფებს ერთმანეთის მიყოლებით.

- დ. უფლის აღდგენა დაფუძნებულია იმ ჭეშმარიტებაზე, რომ ქრისტეს აქვს მხოლოდ ერთი სხეული, რომელიც გამოხატულია მრავალ ადგილას როგორც ადგილობრივი ეკლესიები; ვინაიდან არის ერთი სული, არის მხოლოდ ერთი სხეული, და არის მხოლოდ ერთი ცირკულაცია სიცოცხლისა სხეულში; ეს ცირკულაცია არის ქრისტეს სხეულის ურთიერთობა, რომელიც არის ურთიერთობა ეკლესიებს შორის – ეფე. 1:22-23; 4:4-6; 1 იოანე 1:3, 7; გამოცხ. 1:11.
- ქ. ადგილობრივი ეკლესია არის ნაწილი ქრისტეს უნიკალური სხეულისა, და ქრისტეს სხეულის ურთიერთობა არის სამყაროსეული; ღვთაებრივ ურთიერთობაში არ არის გამოყოფა – მუხ. 11; 2:7ა:
1. არც ერთი ეკლესია ან რეგიონი არ უნდა გამოყოს სხეულის ურთიერთობას; ერთი ადგილობრივი ეკლესიის ან რეგიონის მიერ თავიანთი თავის ქრისტეს სხეულის ურთიერთობისაგან გამოყოფის შედეგი არის სიბნელე, არეულობა, დაყოფა და სიკვდილი.
 2. თუ ჩვენ გამოვყოფთ ჩვენს თავს სხეულის ურთიერთობისაგან, ჩვენ არ შეგვეძლება, რომ მონაწილეობა მივიღოთ უფლის სერობაში, ვინაიდან პური მაგიდაზე უფლის სერობისას აღნიშნავს ქრისტეს მთელ სხეულს – 1 კორ. 10:16-17; 11:25-28.
- III. ღვთაებრივი ურთიერთობა არის სინამდვილე ქრისტეს სხეულში ცხოვრებისა სულის ერთობაში – 1:9; 10:16-18; 12:12-13, 27; საქმე. 2:42; ეფე. 4:3:
- ა. ღვთაებრივი ურთიერთობა გვაზავებს ჩვენ; ანუ, გვასწორებს, ჰარმონიაში მოვყავართ, ერთი ზომისებს გვხდის, და გვრწყავს ერთანეთთან ერთ სხეულად – 1 კორ. 10:17; 12:24-25:
1. ვიყოთ შეზავებული ერთმანეთთან ნიშნავს გავიაროთ ჯვარი და გავაკეთოთ ყველაფერი სულის მეშვეობით, რათა დავარიგოთ ქრისტეს სხეულში ქრისტეს სხეულისათვის – შდრ. 2 ნეშ. 1:10.
 2. ჩვენ არ უნდა გაგაკეთოთ არაფერი ურთიერთობის გარეშე სხვა წმიდანებთან, რომლებიც კოორდინაციაში არიან ჩვენთან; ურთიერთობა მოითხოვს ჩვენგან, რომ გავჩერდეთ, როდესაც რადაცის გაკეთებას ვაპირებთ – შდრ. ეზეკ. 1:11ბ-14.
- ბ. ღვთაებრივ ურთიერთობაში შეზღუდვის მეშვეობით, ქრისტეს სხეული რჩება ერთობაში, და მსახურების საქმე აგრძელებს წინსვლას; ის, რაც აცოცხლებს ყველაფერს, არის ურთიერთობა – ეფე. 4:11-12; შდრ. ეზეკ. 47:9.
- გ. ჩვენ უნდა მივბაძოთ მოციქულს, რომ მოვიყვანოთ ადგილობრივი ეკლესიები ქრისტეს სხეულის ურთიერთობაში და გავყვეთ მოციქულის ნაბიჯებს, რომ მოვიყვანოთ ყველა წმიდანი ქრისტეს მთელი სხეულის შეზავების სიცოცხლეში – რომ. 14:3; 15:7-9, 25-33; თავი 16.
- დ. ჩვენ უნდა გვქონდეს ურთიერთობის სინამდვილე და ქრისტეს სხეულის შეზავება, სხვაგვარად, მიუხედავად იმისა თუ რამდენად ვესწრაფვით და

- რამდენად უბრალოები და მორჩილები ვართ ჩვენ, ადრე თუ გვიან გაჩნდება პრობლემები, დაყოფებიც კი, ჩვენ შორის.
- ქ. შეზავების მიზანი არის ის, რომ შეგვიყვანოს ჩვენ ყველანი ქრისტეს სხეულის სინამდვილეში; ჩვენ ვაფასებთ ადგილობრივ ეპლესიებს გარკვეული მიზნით – ჩვენ უნდა ვიყოთ ადგილობრივ ეკლესიაში როგორც საშუალებაში, რომ შევიდეთ ქრისტეს სხეულის სინამდვილეში.